## ხელშეკრულებ №40

ქ. ყვარელი 5 სექტემბერი 2013 წ.

ა.(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება" შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი ა.(ა)იპ-ის დირექტორი გიგა ბეჟანიშვილის სახით, ერთის მხრივ და **შ.პ.ს "ყვარელი" დირექტორი ნიკოლა დამორე** შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული მეორეს მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

### 1. ხელშეკრულების საგა

წყლის საქაჩი ტუმბო იტალიური წარმოების თავისი მართვის კარადით 1 ცალი

### 2. სამუშაოს შესრულების ვადები და ღირებულება

2.1. საქონლის მოწოდების საბოლოო ვადაა **5/09-დან 20/09-მდე**

2.2. მოსაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **1200 (ერთიათას ორას) ლარს.**

### 3.. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ლარებში, „მიმწოდებლის" მიერ ფაქტიურად მოწოდებული საქონლის დამადასტურებელი ფორმა №2-ს წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

### 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1. "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება.

4..2. "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1. მიაწოდოს 1.1 პუნქტში აღნიშნული საქონელი

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების („შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი პირების) ხელისმოწერის შემდეგ.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებული კვირისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **2%** ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **10%** პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 7. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა

## 8. დავათა განხილვის წესი

8.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

## 9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს ამავე ხელშეკრულების მეორე პუნქტში მითითებული სამუშაოს დასრულების ვადას.

## 10. მხარეთა რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „ მომწოდებელი" |
|---|---|
| ა.(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება" | შ.პ.ს "კვარპელი" |
| მისამართი: ქ. ყვარელი ჭავჭავაძის №131 | ქყვარელი მეორნეობის დასახლება |
| საბანკო რეკვიზიტები: | საბანკო რეკვიზიტები: |
| ს.ს. „ლიბერთი" ბანკის ყვარლის ფილიალი | სს „ბანკი კონსტანტა " |
| ბანკის კოდი --LBRTGE22 | ბანკის კოდი **CNSBGE22** |
| ა/ნ – GE32LB0115153813628000 | GE84CN0000036401399362 |
| საიდენტიფიკაციო კოდი - 441554630 | საიდენტ. კოდი 24156062 |

ა. (ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება"

დირექტორი:

გ. ბეჟანიშვილი

-----------------------

შ.პ.ს "კვარპელი"

დირექტორი:

ნ. დამორე

-----------------------